

მუსიკა

აღმოსავლური და დასავლური ტრადიციების ანარეკლი

იაპონური მუსიკა უძველესი ტრადიციებიდან იღებს სათავეს, რომლის ფოლკლორული საწყისები და აზიური გარემოს ადრეული ზეგავლენა ისტორიის სიღრმეშია დაცული. მასში ასახულია ასევე ოკინავასთან ასოცირებული მუსიკალური ტრადიციები და ჰოკაიდოს კუნძულზე მცხოვრები აინუს ხალხის ადგილობრივი ჩვეულებები.

გაგაკუ



გაგაკუს საშემსრულებლო წარმოდგენა

გაგაკუ არის მუსიკალური ჟანრი, რომელიც ჩამოყალიბდა მისი კონტინენტური აზიის წინამორბედების ძლიერი ზეგავლენით, რაც იაპონიის იმპერატორის კარზე ათასწლეულზე მეტი ხნის მანძილზე სრულდებოდა. გაგაკუ შედგება სამი ნაწილისგან, რომელთაგან პირველია: *ტოგაკუ*, რომელიც ძალიან ჰგავს ჩინური თანგის დინასტიის (618–907 წწ.) სტილს; *კომგაკუ*, რომელიც კორეის ნახევარკუნძულიდან მოდის და ნაციონალური კომპოზიციებისგან შემდგარი მუსიკა, ასოცირებული შინტოს რელიგიურ რიტუალებთან. გაგაკუ მოიცავს აგრეთვე მცირე რაოდენობით იაპონურ ხალხურ სიმღერებს, რომელსაც *საიბარას* უწოდებენ და რომელმაც საიმპერატორო კარის შესაფერისი ელფერი შეიძინა დროთა მანძილზე.

ნარას პერიოდში (710 – 794 წწ.), აზიის კონტინენტიდან იაპონიაში მრავალფეროვანი მუსიკალური მიმდინარეობა გავრცელდა. შემდგომ კი, ჰეიანის პერიოდში (794 – 1185 წწ.) ორ ძირითად მიმართულებად, *ტოგაკუ* და *კომგაკუ*დ, ჩამოყალიბდა, რომელიც ძირითადად ტრადიციული და პროფესიონალი მუსიკოსებისა და არისტოკრატის გილდიების მიერ სრულდებოდა საიმპერატორო კარზე. კამაკურას სამხედრო მმართველობის პერიოდში (1185 – 1333 წწ.), გაგაკუს საიმპერატორო კარზე შესრულების ტრადიცია შედარებით მინელდა, თუმცა კიოტოში, ნარასა და ოსაკაში დაფუძნებულმა ცალკეულმა არისტოკრატებმა და სამმა მუსიკალურმა გილდიამ შემოინახა. მეიჯის რესტავრაციის პერიოდის შემდეგ, 1868 წ. გილდიის მუსიკოსებმა უკვე ახალ დედაქალაქ ტოკიოში მოიყარეს თავი. ის მუსიკოსები, რომლებიც

დღესდღეობით საიმპერატორო კარის მუსიკის დეპარტამენტში მოღვაწეობენ, სწორედ იმ VIII საუკუნეში დაარსებული მუსიკალური გილდიის წევრების პირდაპირი შთამომავლები არიან.

რელიგიური მუსიკა

იაპონური რელიგიური მუსიკის ყველაზე ცნობილი ჟანრია შინტოს რიტუალის მუსიკა. შინტოს მუსიკის უძველესი სახელწოდების *კაგურას* (ღმერთების მუსიკა) განმარტება, მზის ქალღმერთ ამატერასუსთან დაკავშირებულ მითებშია შემონახული. საკუთარ ძმაზე გაანაწყენებულმა ამატერასუმ მისი შუქი ზეციურ გამოქვაბულში გადაამალა, იქიდან კი მუსიკის თანხლებით შესრულებული ცეკვის მეშვეობით ქალღმერთ ამა ნო უძუმე ნო მიკიტომ გამოიტყუა. ასე რომ, მითები იმ წარმოდგენის გამოძახილია, რომლის მიხედვითაც ადამიანებს სწამდათ, რომ მუსიკისა და ცეკვის საშუალებით ღმერთებს მოუხმობდნენ და ამით საზოგადოებასაც ახალ სასიცოცხლო ძალას შთაბერავდნენ. *მიკაგურა*, ანუ საიმპერატორო კარის *კაგურა*, განსხვავდება *სატო კაგურასგან*, ანუ სოფლის *კაგურასგან*, რომელიც თავის თავში მოიცავს ცალკეულ რეგიონებთან ან მონასტრებთან ასოცირებულ რამდენიმე სახეობის ადგილობრივ მუსიკას. სოფლის კაგურას მოსმენა კი შესაძლებელია ფესტივალებზე, როცა მუსიკოსები ასრულებენ სიმღერებს განიერი ფლეიტებისა და სხვადასხვა სახის დოლების თანხლებით.

ბივა, კოტო, შიაკუჰაჩი და შიამისენი

მოკლეთარიანი ბარბითი (*ბივა*), ციტრა (*კოტო*) და ფართობოლოიანი ფლეიტა (*შიაკუჰაჩი*), ყველა ეს ინსტრუმენტი ჩინეთიდან იქნა შემოტანილი იაპონიაში VII საუკუნის დასაწყისში და გამოიყენებოდა *გაგაკუს* შესასრულებლად. *შიამისენი*, სამსიმიანი ბარბითის მსგავსი საკრავი, XVI საუკუნის შუახანებში ოკინავადან შემოსული ანალოგიური ინსტრუმენტის მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ამ ოთხი ინსტრუმენტის ერთობლიობა განივი ფლეიტისა (*შინობუე*) და დიდი და პატარა დოლების თანხლებით გამოიყენებოდა ტრადიციული იაპონური მუსიკის შესასრულებლად.

ბივა

საიმპერატორო კარის მუსიკაში *ბივა* მარტივი მელოდიური ხაზის შესასრულებლად გამოიყენებოდა, რათა აკომპანიმენტი გაეწია *გაგაკუს* მელოდიური ინსტრუმენტებისთვის. თუმცა *ბივა* არასოდეს გამოუყენებიათ სოლო ინსტრუმენტული შესრულებისთვის, არსებობს ჩანაწერები, სადაც მოხეტიალე ბერები ჰყვებოდნენ სხვადასხვა ისტორიებს ამ საკრავის თანხლებით. XIII საუკუნიდან მოყოლებული ამ რეპერტუარიდან უმნიშვნელოვანესი კომპოზიცია იყო „ჰეიკე მონაგატარი“ („ამბავი ჰეიკესი“), გრძელი ისტორია ტაირას მებრძოლი

კლანის დამარცხების შესახებ მინამოტოს კლანის მიერ. ბივა ოთხსიმიანი ბარბითა და სხვა სიმებიან საკრავთა მსგავსად, ხელის ჩამოკვრით იკვრება.

კოტო



კოტო
(ფოტო Getty Images-სგან)

კოტოს ადრეულ ვარიანტს ხუთი (მოგვიანებით კი ექვსი) სიმი ჰქონდა და დაახლოებით ერთი მეტრი სიგრძის იყო. ნარას პერიოდში (710-794 წწ.) იაპონიაში ჩინეთიდან შემოვიდა ცამეტსიმიანი, დაახლოებით ორი მეტრი სიგრძის, კოტო და საიმპერატორო კარის ანსამბლში გამოიყენებოდა. კოტო მზადდებოდა პაულონის ხისგან. მის თითოეულ სიმს მოძრავი გრიფი გააჩნია და იკვრება მარჯვენა ხელის ცერსა და პირველ ორ თითზე გაკეთებული ბეჭდების სიმზე გამოკვრით, ხოლო მარცხენა ხელი სიმისთვის ხმის სიმალლისა და ტონის მისაცემად გამოიყენება.

შიაკუჰაჩი

შიაკუჰაჩი - ბამბუკის ფართობოლოიანი ფლეიტა დაკბილული მუნდშტუკით. VII საუკუნეში მას, როგორც მის ჩინურ ანალოგიურ ვარიანტს, ექვსი სათითური ჰქონდა ამოჭრილი, მაგრამ დღესდღეობით მხოლოდ ხუთი აქვს: ზევით - ოთხი თითისთვის, ქვევით კი ერთი - ცერისთვის. XVII საუკუნის ბოლო ხანებში შიაკუჰაჩის ფართოდ იყენებდა ძენის ბუდისტი მლოცველების ფუკეს სექტა სპირიტულ რიტუალებში.

შიამისენი



შიამისენი
(ფოტო AFLO-სგან)

შიამისენი თავდაპირველად ედოს პერიოდის (1600-1868 წწ.) კაბუკისა და თოჯინების თაეტრთან ასოცირდებოდა. ოკინავას სამსიმიანი ბარბითის (სანშინის) ერთ-ერთი ვარიაცია - შიამისენი სხვადასხვა ზომისა იყო, მაგალითად, 1.1 მ-დან 1.4 მ-მდე სიგრძის და მომღერალი მას, ძირითადად, საკუთარი სიმღერის აკომპანიმენტისთვის იყენებდა. შიამისენი უფრო ინტერვალის ან მას წარმოსაჩენად იყო განკუთვნილი ვიდრე ბგერის დიაპაზონის გამოსაკვეთად.

ხალხური სიმღერები

იაპონური ხალხური სიმღერები შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს: 1) რელიგიური სიმღერები, როგორცაა შინტოს სატო და კაგურა და ბუდიზმის ბონ საცეკვაო სიმღერები; 2) მუშაობის თანმხლები სიმღერები, როგორცაა ბრინჯის მთესველებისა და მენიჩბების სიმღერები; 3) წეს-ჩვეულებათა და საზეიმო რიტუალებთან დაკავშირებული, მაგალითად, წვეულებებზე შესასრულებელი, საქორწილო თუ სამგლოვიარო სიმღერები; 4) საბავშვო სიმღერები, მათ შორის ტრადიციული (*ვარაბე უტა*), რომლებიც საუკუნეების განმავლობაში თანდათან მივიწყებულ იქნა და აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ XX საუკუნის სახელგანთქმული პოეტებისა და კომპოზიტორების მიერ დაწერილი თანამედროვე სიმღერები (*დოიო*).

მუსიკა თანამედროვე იაპონიაში

მეიჯის მთავრობამ, იაპონური მუსიკის მოდერნიზაციის მიზნით, სკოლებში დასავლური მუსიკის სწავლების მითითება გასცა. 1879 წელს კი იძავა შიუჯიმ, მთავრობის წევრმა, რომელსაც განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰქონდა მიღებული, შეარჩია და თავი მოუყარა სიმღერებს, რომლებიც სპეციალური პენტატონიკური მელოდიით იყო დაწერილი და არ მოიცავდა ფა და სი მაჟორებს, შემდეგ დაუმატა მათ მსგავსი ტონალური სტრუქტურის დასავლური ელფერის მქონე სიმღერები (მაგ., როგორცაა „Auld Lang Syne”) და ერთ სახელმძღვანელოში გააერთიანა, რომელიც მთელი ქვეყნის სკოლებში ისწავლებოდა. მეორე ტიპის ფართოდ გავრცელებული დასავლური მუსიკა იაპონიაში იყო სამხედრო მარში, რომელიც მეიჯის მთავრობამ იაპონიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის აუცილებელ ელემენტად აღიარა.

1874 წელს დაარსდა პირველი იაპონური პოლიტიკური პარტია, რამაც ბიძგი მისცა პირდაპირი გზით ეროვნული პარლამენტის არჩევნებს. ლიდერები, რომლებსაც ეკრძალებოდათ ამომრჩევლების წინაშე სიტყვით გამოსვლა, სიმღერებს წერდნენ და სიმღერის ტექსტით გადასცემდნენ ხალხს თავიანთ სათქმელს. ამ სიმღერების ასლებს მომღერლები ქუჩაში ყიდიდნენ. ეს გახლდათ *ენკას* დასაწყისი. თავად სიმღერის შემსრულებლები თანდათანობით დაიხვეწნენ და ქუჩის პოლიტიკური აგიტატორებიდან ანაზღაურებად პროფესიონალ მუსიკოსებად იქცნენ. რადიოსა და ფონოგრამის ფართოდ გავრცელებამდე, *ენკას* მომღერლები ინფორმაციას მუსიკით გადასცემდნენ ფართო საზოგადოებას.

XX საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან იზრდებოდა დასავლური გავლენა იაპონურ პოპულარულ მუსიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური მუსიკალური ინსტრუმენტები ფართოდ გამოიყენებოდა, ექსკლუზიურად ან ეროვნულ ინსტრუმენტებთან კომბინაციაში, მელოდიები კვლავ დაფუძნებული იყო იაპონურ პენტატონიკურ სკალაზე. ყველაზე ადრეული კომერციული ფონოგრამული ჩანაწერები იაპონიაში 1907 წლიდან დაიწყო და XX საუკუნის 20-იან წლებში პოპულარული მუსიკის ჩაწერა უკვე დიდი რაოდენობით ხდებოდა.

1930-იან წლებში ჯაზმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბარებისა და კლუბების სცენებზე შესრულებული პოპულარული მუსიკის განვითარებაში, თუმცა ის აკრძალული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს. აქიდან მოყოლებული, ჯაზს დღემდე გააჩნია შედარებით მცირე, მაგრამ ერთგული თაყვანისმცემლების ჯგუფი და მისმა ზოგიერთმა იაპონელმა შემსრულებელმა (ვატანაბე სადაომ, აკიოში ტოშიკომ და სხვ.) საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა.

ომის შემდგომ პერიოდში იაპონური მუსიკა ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: ერთი - JPop-ი და მეორე - *ენკა* (იხ. ვრცლად ქვემოთ). მეიჯის პერიოდის პოლიტიკური ხასიათის *ენკასგან* განსხვავებით, თანამედროვე *ენკას* ბალადები ექსკლუზიურად დაკარგულ სიყვარულსა და ნოსტალგიაზეა დაფუძნებული; მისი სხვა ჟანრებისგან გამოსარჩევად ყველაზე მნიშვნელოვანია შედარებით ნელი ვიბრატო. *ენკა* დღემდე რჩება იაპონიის უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის ყველაზე პოპულარული მუსიკის ჟანრად და კარაოკეს სიმღერების სიის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

J-Pop-ი



როკ-ჯგუფი
(ფოტო Getty Images-სგან)

ტერმინი *J-Pop*-ი მოიცავს დასავლური გავლენის მქონე იაპონური პოპულარული მუსიკის თითქმის ყველა ჟანრს. 1950-იან წლებში ელვის პრესლის მიერ როკ-ენ-როლით გამოწვეულმა ბუმმა იაპონიაში შემოსული ნებისმიერი დასავლური პოპ-მუსიკის ჟანრი სანიმუშოდ აქცია და დასაბამი მისცა ქვეყნის შიგნით როკ-ენ-როლის ჯგუფების დიდი რაოდენობით ჩამოყალიბებას. 1960-იან წლებში ორი ჟანრი, (1) ბობ დილანის გავლენის მქონე ფოლკლორული მუსიკისა და (2) „ბითლზის“ გავლენით შექმნილი „გრუპ საუნდს“-ის („Group Sounds“)

მიმართულება განვითარდა. ამის შემდეგ პოპ-მუსიკის ყველა ჟანრს - როკს, ქანთრი როკს, ჰევი მეტალს, პანკს, რეგის, ფანკს, რეპს და ჰიპ-ჰოპს გამოუჩნდნენ მიმდევრები და იაპონელი შემსრულებლებით დაკომპლექტდა მუსიკალური ჯგუფები. 1970-იან წლების შემდეგ J-Pop-ის კომერციული ბირთვი ორი კონტრასტული ხაზისგან შედგებოდა; ერთის მხრივ, პოპ-ვარსკვლავები და მეორეს მხრივ, კომპოზიტორ-შემსრულებლები, რომლებიც ძირითადად ახალი მუსიკალური მიმდინარეობების ჟანრებში მოღვაწეობდნენ.

შემსრულებელ-კომპოზიტორთა ხაზი მოიცავს ინდივიდუალურ შემსრულებლებს და მუსიკალურ ჯგუფებს, რომლებიც საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენენ და უმეტესწილად საკუთარი კარიერის განვითარებაზე ზრუნავენ. ისინი დროის უმეტეს ნაწილს მუსიკალურ ტურნეებში ატარებენ და ტელევიზიით იშვიათად ჩნდებიან. იაძავა ეიკიჩი, Chage & Aska, „Southern All Stars“, იუმინგი და B'z. უკვე მრავალი წელია დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ბევრი ამჟამად პოპულარული მუსიკალური შემსრულებელი, მაგალითად, როკისა და ჰიპ-ჰოპის ჯგუფი „Orange Range“, არის წარმოშობით ოკინავადან. ახალგაზრდა და ნიჭიერი „R&B“-ის დივა უტადა ჰიკარუც ასევე შემსრულებელ-კომპოზიტორთა კატეგორიას განეკუთვნება.

მეორე მხარეს არიან პოპ-ვარსკვლავები, რომლებიც, როგორც წესი, სათანადოდ არიან მომზადებულნი, განსწავლულნი და მათზე გაკეთებულია მარკეტინგული გათვლა შესაბამისი სააგენტოების მიერ. ტრადიციულად, ასეთების რიგებში ახალგაზრდა გოგონები ხვდებიან, რომელთაც რთულად, მაგრამ მოკლე პერიოდში მიაღწიეს წარმატებას, ისინი ხშირად ჩნდებიან სატელევიზიო რეკლამებსა და მუსიკალურ გადაცემებში, რომლის შემდეგაც მათი პოპულარობა მალევე ქრება. პოპულარობის გამოცდას გაუძლო და გამონაკლისი აღმოჩნდა სუპერვარსკვლავი მაცუდა სეიკო - ყველა დროის საუკეთესო იაპონელი მომღერალი. 1990-იან წლებში ძალიან პოპულარული გახდა ახალგაზრდა გოგონების ჯგუფი „Speed“ და „Morning Musume“. არსებობს აგრეთვე პოპულარული “ბოი-ბენდების” ტრადიციაც, რომელთაგან უმეტესობა („SMAP“, „Kinki Kids“, „KAT-TUN“, „Arashi“ და სხვ.) ნიჭიერი ახალგაზრდების სააგენტოს („ჯონი ჯიმუშიო“-ს სააგენტო) აღზრდილები არიან.

2009 წელს J-Pop-ის ყველაზე პოპულარული ჯგუფი "EXILE-ი" გახდა, რომელიც შედგება 14 მამაკაცი (მომღერალი და მოცეკვავე) წევრისგან. მათი ფანები არა მარტო გოგონები, არამედ ბიჭებიც იყვნენ. კიდევ ერთი ტექნო-პოპის ჟანრის წარმომადგენელია - სამი ქალი წევრისგან შემდგარი ჯგუფი "Perfume", რომელიც უნიკალური ვოკალური და საცეკვაო სტილით იპყრობს ყურადღებას. 2000 წლის მეორე ნახევრიდან პროფესიონალ მუსიკოსებსა და მათ თაყვანისმცემლებს შორის პოპულარული ხდება ახალი ჟანრის მუსიკალური მიმდინარეობა, რისთვისაც გამოიყენება სიმღერის სინთეზატორის კომპიუტერული პროგრამა, როგორცაა მაგალითად „Vocaloid“-ი და ვირტუალური გმირი, ჰაცუნე მიკუ, რომელიც ადამიანის ხმის ნიმუშზე დაყრდნობით, მუსიკალური მელოდიისა და სიტყვების სინთეზის შედეგად ადამიანის ხმაზე ასრულებს სიმღერას.

დასავლური კლასიკური მუსიკა იაპონიაში



ორკესტრი
(ფოტო Getty Images-სგან)

XX საუკუნის დამდეგს არსებობდნენ დასავლური კლასიკური მუსიკის საკმარისი მცოდნეები, რომლებმაც ევროპელი შემსრულებლების ყურადღებაც კი მიიქციეს. ეს უკანასკნელნი სოლო კონცერტის ჩასატარებლად ან მუსიკალური ტურნეს ფარგლებში სტუმრობდნენ იაპონიას. 1926 წელს ჩამოყალიბდა ახალი სიმფონიური ორკესტრი, რომელიც 1927 წლიდან რეგულარულად ატარებდა კონცერტებს. 1951 წელს მას NHK-ის სიმფონიური ორკესტრი ეწოდა. დღესდღეობით მას NHK-ის სამაუწყებლო კორპორაცია აფინანსებს და ის

იაპონიის წამყვანი ორკესტრია. 1950 წლიდან იაპონიის თანამედროვე მუსიკის ასოციაცია ყოველწლიურ ფესტივალს მართავს კომპოზიტორების წასახალისებლად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოღვაწე კომპოზიტორებიდან აღსანიშნავია დან იკუმა, რომელმაც დაწერა შესანიშნავი ოპერა - „*იუძურუ*“ („სალამოს წეროები“, 1952 წ.), რომელსაც საფუძვლად უდევს იაპონური ზღაპარი; მაიუძუმი ტოშირო, რომელმაც ეზოთერული ბუდიზმის გავლენით სიმფონიური პიესები დაწერა, ტაკემიცუ ტორუ, რესპექტაბელური ავანგარდული მუსიკალური პიესების ავტორი, რომელმაც კინო-ფილმებისთვისაც დაწერა მელოდიები და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ბევრი იაპონელი მუსიკოსი საზღვარგარეთ გაემგზავრა სასწავლებლად და ზოგიერთმა მათგანმა (მაგალითად, დირიჟორმა ოძავა სეიჯიმ, მევიოლინე გოტო მიდორიმ და პიანისტმა უჩიდა მიცუკომ) საერთაშორისო აღიარებაც დაიმსახურა.